მოქალაქეთა ასამბლეა

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

რა არის მოქალაქეთა ასამბლეა?

ეს ინსტრუმენტი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, რომ ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და, საკითხის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება. მოქალაქეთა ასამბლეის ჯგუფი იქმნება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და ისეთი დემოგრაფიული კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა სქესი, ასაკი და სხვა. ჯგუფი ძირეულად აანალიზებს პრობლემატურ საკითხს, მართავს დისკუსიას მოგვარების გზებზე, შეისწავლის მათ დადებით და უარყოფით მხარეებს და რეკომენდაციებს აწვდის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს/სტრუქტურებს. ინსტრუმენტის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილება არის:



რისთვის გამოიყენება მოქალაქეთა ასამბლეა?

ამ მეთოდოლოგიით შესაძლებელია ყველა იმ საკითხის განხილვა, რომლებიც მიეკუთვნება ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას. ძირითადად, მოქალაქეთა ასამბლეის მეშვეობით წყვეტენ ისეთ საკითხებს, რომლებიც საზოგადოებაში არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს და პოტენციური კონფლიქტის წყარო შეიძლება იყოს.

ვინ იყენებს მოქალაქეთა ასამბლეას?

ინსტრუმენტი გამოიყენება მუნიციპალიტეტის მერიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის თანამშრომლობით (შემდგომში „საკოორდინაციო ჯგუფი“).

მუნიციპალიტეტი

იღებს გადაწყვეტილებას მოქალაქეთა ასამბლეის ორგანიზებაზე და მხარს უჭერს მთლიან პროცესს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია

პასუხისმგებელია პროცესის წარმართვასა და ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე.

მონაწილეები და შერჩევის კრიტერიუმები

მოქალაქეთა ასამბლეის შემთხვევითი პრინციპით შერჩეული შემადგენლობა არ არის მუდმივი. ეს ნიშნავს, რომ მონაწილეები შეირჩევიან ერთჯერადად, კონკრეტული ასამბლეის განსახორციელებლად.

წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია განსახილველი საკითხის მასშტაბზე, ასევე, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობაზე, და მერყეობს 50-დან 100-მდე.

შერჩევის ძირითადი კრიტერიუმებია:

- სქესი
- ასაკობრივი ჯგუფები (18-24, 25-39, 40-64, 65+)
- საცხოვრებელი ადგილი
- განათლების დონე

შესაძლებელია სხვა კრიტერიუმის დამატება (რელიგიური/ეთნიკური კუთვნილება და ა.შ.).

ინიცირება და ინიციატორი

მოქალაქეთა ასამბლეის საკითხის ინიციატორი შეიძლება იყოს:

- მუნიციპალიტეტის მერი
- საკრებულო
- საინიციატივო ჯგუფი

საკითხის შერჩევისას გასათვალისწინებელია, რომ:

- საერთო მუნიციპალურ საკითხზე იმართება საერთო მუნიციპალური ასამბლეა.
- კონკრეტულ უბანთან დაკავშირებულ საკითხზე იმართება საუბნო ასამბლეა.
- სპეციფიკური ჯგუფების საკითხებზე კი იმართება სპეციფიკური ასამბლეა (მაგ. მონადირეების, მძღოლების და ა.შ.).

კითხვების ჩამოყალიბება შეიძლება შემდეგნაირად:

- რა ფორმით უნდა შევუწყოთ ხელი განახლებადი ენერგიის გამოყენებას ჩვენს ქალაქში?
- ბევრი ფიქრობს, რომ ქალაქში არ არის საკმარისი პარკინგის ადგილები, რას მიიჩნევთ საუკეთესო გამოსავლად?
- ზაფხულობით არ გვაქვს საკმარისი წყალი, რა შეიძლება მოვიმოქმედოთ?

მოქალაქეთა ასამბლეის ორგანიზებას შეიძლება დასჭირდეს 3 თვიდან 1 წლამდე, საკითხის სირთულის მიხედვით.

მოქალაქეთა ასამბლეის ძირითადი ფაზები და სტადიები

	საქმიანობა	განმახორციელებელი
I - მოსამზადე-ბელი ფაზა	საკითხის შერჩევა	მუნიციპალიტეტი
	ორგანიზატორის შერჩევა	მუნიციპალიტეტი
	ვებპორტალის შექმნა	მუნიციპალიტეტი
	ასამბლეის წევრთა შერჩევის სისტემის ჩამოყალიბება	მუნიციპალიტეტი
	საინფორმაციო კამპანიის წარმართვა	მუნიციპალიტეტი
	ასამბლეის წევრთა შერჩევა	მუნიციპალიტეტი
	ლოგისტიკური საკითხების გადაწყვეტა	მუნიციპალიტეტი
შედეგები	I ფაზის შემდეგ: • შერჩეულია განსახილველი საკითხი. • შერჩეულია საკოორდინაციო ჯგუფი. • შექმნილია ვებპორტალი. • შექმნილია ასამბლეის წევრთა შერჩევის ელექტრონული სისტემა. • ჩატარებულია საინფორმაციო კამპანია. • შერჩეულნი არიან ასამბლეის წევრები. • შერჩეულია ჩატარების ადგილი და გადაწყვეტილია კვების, ტრანსპორტირების და სხვა ლოგისტიკური საკითხები.	

II - სასწავლო ფაზა	საქმიანობა	განმახორციელებელი
	ექსპერტების შერჩევა	მუნიციპალიტეტი და საკოორდინაციო ჯგუფი
	საგანმანათლებლო ფაზის პროგრამის მომზადება	საკოორდინაციო ჯგუფი
	ასამბლეის წევრთა შორის არაფორმალური კავშირების წახალისება ჯგუფის ინტეგრაციის მიზნით	საკოორდინაციო ჯგუფი
	ექსპერტთა და დაინტერესებულ მხარეთა დასკვნების მოსმენა და კითხვა-პასუხის რეჟიმში განხილვა	საკოორდინაციო ჯგუფი
შედეგები	II ფაზის შემდეგ: • ასამბლეის წევრები იცნობენ ერთმანეთს და მათ შორის განვითარებულია არაფორმალური კავშირები. • განსახილველ საკითხებზე მომზადებულია ექსპერტული დასკვნები და დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები. • ასამბლეის წევრებს საკმარისი დრო და შესაძლებლობები აქვთ დასკვნებისა და მოსაზრებების გასაცნობად. • ჩატარებულია, სულ მცირე, 3 განხილვა, რომლებზეც წევრებმა სიღრმისეულად განიხილეს დასკვნები და მოსაზრებები.	

	საქმიანობა	განმახორციელებელი
III - განხილვის (დელიბერაცი-ის) ფაზა	საკითხის გადაწყვეტის სხვადასხვა გზის გენერირება	მოქალაქეთა ასამ-ბლეის წევრები, ორგანიზატორი
	საკითხის გადაწყვეტის სხვადასხვა გზის გამოქვეყნება და საჯარო უკუკავ-შირის მიღება	საკოორდინაციო ჯგუფი
	დასკვნების წარმოდგენა გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ (მერი, საკრებულო)	მუნიციპალიტეტი
	წინასწარი კენჭისყრის ჩატარება საკითხის გადაწყვეტების გზებზე და შედეგების გაზიარება გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის (მერი, საკრებულო)	საკოორდინაციო ჯგუფი
შედეგები	III ფაზის შემდეგ: • ასამბლეის წევრებს გენერირებული აქვთ განხილული საკითხის გადაწყვეტის გზები. • ასამბლეის წევრებს მოსმენილი აქვთ გადაწყვეტილების მიმღები პირის დასკვნები და დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები თითოეულ დასკვნაზე. • ჩატარებულია წინასწარი კენჭისყრა.	

	საქმიანობა	განმახორციელებელი
IV - პროცესის გა-დახედვისა და დასრულების ფაზა	საკითხის გადაწყვეტის სხვადასხვა გზის განხილვა ექსპერტების, გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით; მათი უკუკავშირის საფუძველზე, საკითხების მომზადება კენჭისყრისა ან კონსენსუსისთვის	საკოორდინაციო ჯგუფი
	კენჭისყრის სისტემის მომზა-დება და მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	საკოორდინაციო ჯგუფი
	კენჭისყრის ჩატარება და შედეგების გამოცხადება	საკოორდინაციო ჯგუფი
	მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჯაროება	საკოორდინაციო ჯგუფი
	მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების გასაჯაროება	საკოორდინაციო ჯგუფი
შედეგები	IV ფაზის შემდეგ: • გადაწყვეტილება მიღებულია კონსენსუსით ან კენჭისყრით. • მოქალაქეებსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს მაღალი ნდობა აქვს წინასწარ განხილული და ინკლუზიურად მიღებული გადაწყვეტილების მიმართ.	

მონიტორინგის გუნდის ფორმირება

მოქალაქეთა ასამბლეის პროცესის გამჭვირვალობისათვის, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მონიტორინგის გუნდიც, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობას და შეამოწმებს: რამდენად შეესაბამება პროცესი მოქალაქეთა ასამბლეის პრინციპებს და ჩართულია თუ არა მასში ყველა დაინტერესებული მხარე. მონიტორინგის გუნდი შეიძლება დაკომპლექტდეს ადგილობრივი უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან.



მოქალაქეთა ასამბლეის კონკურენტული უპირატესობები მონაწილეობის სხვა ფორმებთან შედარებით (მაგ: საერთო კრება, მრჩეველთა საბჭო)

- **ინფორმირებული გადაწყვეტილება** – საკითხის განხილვაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული პირი და ექსპერტი. შესაბამისად, მოქალაქეები იღებენ მაქსიმალურად ინფორმირებულ და კარგად გააზრებულ გადაწყვეტილებას.
- **ობიექტური გადაწყვეტილება** – ასამბლეის წევრები შეირჩევიან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და დროებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკებს.
- **ინკლუზიურობა** – მოქალაქეთა ასამბლეის შემადგენლობა ასახავს საზოგადოების რეალურ სტრუქტურას, რაც იძლევა ყველა ინტერესთა ჯგუფის წარმოდგენის საშუალებას.
- **კონსენსუსი** – განსახილველი საკითხების გარშემო შესაძლებელია კონსენსუსის მიღწევა.
- **საჯაროობა** – დაცულია პროცესის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტები (ტარდება საინფორმაციო კამპანია, დასკვნები პროაქტიულად ქვეყნდება, შეხვედრები პირდაპირ რეჟიმში გადაიცემა).

საინფორმაციო ბროშურა მოამზადა ევროპის საბჭოს გენერალურმა დირექტორატმა, შემდეგი პროექტის ფარგლებში: „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში".

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოს მოსაზრებებს.

KAT

www.coe.int
www.coe.ge

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE